

ბალანსი

	31/12/2019	31/12/2020	31/12/2021
აქტივები			
ფულადი სახსრები	245 618	246 574	514359
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	164 893	161 982	81586
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3 814 189	2 805 349	2590811
წინასწარ გადახდილი გადასახადები	69 300	76 620	31176
სხვა დარიცხული მოთხოვნები	239 120	393 578	306620
სულ მოკლევადიანი აქტივები	4 533 120	3 684 103	3524552
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	394 848	339 352	292871
არამატერიალური აქტივები	301	180	180
სულ გრძელვადიანი აქტივები	395 149	339 532	293051
სულ აქტივები	4 928 269	4 023 635	3817603
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	1 972 475	1 509 505	1085048
საგადასახდო ვალდებულებები			24221
გადასახდელი ხელფასები	6 000	6 000	6000
სხვა დარიცხული ვალდებულებები			15646
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 978 475	1 515 505	1130915
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	1 978 475	1 515 505	1130915
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1 083 242	1 237 700	1150244
რეზერვები	184 311	184 311	184311
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	1 682 241	1 086 119	1352133
სულ კაპიტალი	2 949 794	2 508 130	2686688
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4 928 269	4 023 635	3817603

შპს „Geo Tires“ დირექტორი :

ბ. ალგაძე

მთ. ბუღალტერი:

ყოყ



მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგება

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	5 978 116	4 989 679
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4 969 345	4 068 991
მთლიანი მოგება	1 008 771	920 688
საოპერაციო ხარჯები	758 030	590 506
ცვეთა და ამორტიზაცია	48 954	79 543
სულ საოპერაციო ხარჯები	806 984	670 049
სულ საოპერაციო მოგება	201 787	250 639
არასაოპერაციო მოგება	115 918	154 458
არასაოპერაციო ხარჯები	51 691	49 298
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	64 227	105 160
მოგება დაბეგვრამდე	266 014	355 799
მოგების გადასახადი	0	0
წმინდა მოგება	0	0

შპს „Geo Tires“ დირექტორი : *ბ. ალგაძე*

მთ. ბუღალტერი: *ყ. მჭედლი*



ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება


ნაშთი 01.01.2021 წ	246 574
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
მიღებულებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7 135 358
გადახდილი ფულადი სახსრები	5 418 396
ხელფასის სახით გადახდილი ფულადი სახსრები	304 063
ბანკის მომსახურების ხარჯი და საკურსო სხვაობა	3 889
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	363 613
გადახდილი პროცენტები	
სხვა	777 612
	6 867 573
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	267 785
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	0
დაბრუნებული შენატანები	0
დაბრუნებული სესხი	
დაბრუნებული პროცენტი	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	0
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
მიღებული დაფინანსება დამფუძნებლისაგან	
მიღებული სესხები	
გადახდილი სესხები	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	267 785
ნაშთი 31.12.2021 წ	514 359

შპს „Geo Tires“ დირექტორი :

ბ. ალყაძე

მთ. ბუღალტერი:

ყ. ბუღალტერი



საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალის ზრდა მეწილეების მიერ განხორციელებული ოპერაციით	რეზერვები	დაგროვილი მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 01.01.2021	1 237 700		184 311	1 086 119	2 508 130
შემოსავალი	0				
გასავალი	-87 456			266 014	178 558
ნაშთი 31.12.2021	1 150 244		184 311	1 352 133	2 686 688

შპს „Geo Tires“ დირექტორი :

ბ. ალბაგა

მთ. ბუღალტერი:

ყუქ



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტება

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტო საბურავების იმპორტი და მისი რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე. ასევე მონაწილეობის მიღება სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში და მოთხოვნების შესაბამისად ლიმიტით განსაზღვრული საქონლის მიწოდება.

საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგად, ის თავის საქმიანობას ანხორციელებს სრული თვითდაფინანსების პირობებში.

შპს „Geo Tires“ დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია თურქეთის მოქალაქე მურათ ილით ჩალიქი (პ/ნ U00661262).

წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია დირექტორი თურქეთის მოქალაქე ბურაქ აქქაია, რომლის მისამართია: თურქეთი, ანკარა, უმითქოი, უმითის კვარტალი, მე-8 გამზირი, ჩამლიჯას კორპუსი ა 2. სად 14

ანგარიშგების წარდგენის საფუძველები

შპს „ჯეო თაირს“ 2021 წლის 12 თვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. საზოგადოება ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ. ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადების მეთოდოლოგია და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

საანგარიშო პერიოდი

ანგარიშგება მოცავს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში საზოგადოება ძირითადად ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე, ამგვარად მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები, ხოლო ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალების შემოსავალში აღება ხდება მისი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, გადახდილ გადასახადებს, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვან სხვა ხარჯებს.

ძირითადი საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსავლები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როცა მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მიღებულია მის სანაცვლოდ ფულადი ან სხვა ეკონომიკური ხასიათის კომპენსაცია.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიური დაფარვის მომენტისა.

შემოსავლების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება წყაროების მიხედვით, ხოლო ხარჯებისა ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

მოგების გადასახადი

სააღრიცხვო მოგებასა და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობის აღრიცხვა ხდება გადაუადგმული საგადასახადო აქტივის ან გადაუადგმული მოგების გადასახადის სახით.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

საგადასახადო მიზნებისათვის გადასახადების გაანგარიშება და გადახდა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, ანგარიშგებაში ასახულია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შპს “ჯეო თაირს” ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს ნაღდი ფულის სახით საღაროში და უნაღდო სახით საბანკო ანგარიშებზე.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საღაროს ანგარიშზე ნაშთი შეადგენდა 221 366.13 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 321 962.06 ლარს.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში ნაშთი შეადგენდა 25 075.59 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 192 293.14 ლარს.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, ეროვნული ვალუტის ექვივალენტით, ნაშთი შეადგენდა 132.37 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 103.58 ლარს.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, აქტივები და მოთხოვნები ძირითადად წარმოქმნილია საქონლის მიწოდებით, ისინი წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნების სახით, დებიტორული დავალიანებები ასახულია ანალიზურად.

2021 წლის დასაწყისისათვის საზოგადოების დებიტორული დავალიანებების ჯამი შეადგენდა 161 982 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრისათვის 81 586 ლარს

წინასწარ გადახდილი გადასახადების ჯამი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 77 151 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრისათვის 31 176.16 ლარს.

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შეძენის თვითღირებულებით, მათი აღრიცხვისა და შეფასებისათვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

2021 წლის დასაწყისისათვის სასაქონლო-მატერიალური მარაგების(საქონელი) ნაშთი შეადგენდა 2 805 349 ლარს, 31 დეკემბრისათვის 2 502 853 ლარს.

2021 წლის დასაწყისისათვის სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი შეადგენდა 68 460,61 ლარს, წლის ბოლოსათვის 87958.73. სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი წლის ბოლოსათვის შეადგენს 2 590 811.31 ლარს.

წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა წლის ბოლოსათვის გამოწვეულია მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების წინასწარი გადახდით.

გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით, საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია მის შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან. აქტივები დაჯგუფებულია საგადასახადო კოდექსის მიხედვით:

ძირითადი საშუალებები	339 352	292 871
არამატერიალური აქტივები	180	180

ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისათვის გადასახდელ ვალდებულებას, ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელზე მეტია, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება, საზოგადოებას გრძელვადიანი ვალდებულება არ ერიცხება, მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 130 915 ლარს, რაც კლასიფიცირდება ასე:

კრედიტორული დავალიანება	1 084 998
საგადასახადო ვალდებულებები	24 222
გადასახდელი ხელფასები	6 000

სხვა ვალდებულებები
სულ მიმდინარე ვალდებულებები

15 695
1 130 915

მოგება-ზარალის ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები წარმოშობილია საზოგადოების ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად გაზრდილია საკუთარი კაპიტალი.

ხარჯების აღიარება

საზოგადოება სწევს ხარჯებს თავისი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში.

ფულადი ნაკადების მოძრაობა

ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია პირდაპირი მეთოდი, საოპერაციო ხარჯებში ასახულია საქონლის, მცირე ფასიანი საგნების შესაძენად გაწეული ხარჯები.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შემოდინების მთავარ წყაროს წარმოადგენს საქმიანობის ძირითადი სფერო.

2021 წლის დასაწყისისათვის ფულადი სახსრების ნაშთი შეადგენდა 246 574 ლარს, ფულის ნაკადის შემოდინება იყო 21 295 462 ლარი, გადინება 21 027 677 ლარი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების ნაშთი შეადგენდა 514 359 ლარს.

საგადასახადო ანგარიშგება

ანგარიშსწორება ბიუჯეტთან

საზოგადოება თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ანგარიშვალდებულია ბიუჯეტის წინაშე: დღე-ით, საშემოსავლო გადასახადით, მოგების გადასახადითა და ქონების გადასახადით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

2021 წლის 12 თვეში დამატებული ღირებულებით დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 5 978 117 ლარი, 2021 წლის 12 თვეში დაბრუნებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 6 175 ლარი.

საშემოსავლო გადასახადი

2021 წლის 12 თვეში საგადასახადო მონაცემებით დარიცხული და გაცემულია ხელფასის, კვებისა და იჯარის სახით 511 545.34 ლარი, დაკავებულია და ბიუჯეტში გადარიცხულია 97470.39 ლარის საშემოსავლო გადასახადი. ხოლო, ბიუჯეტიდან დაბრუნებული კოვიდ შეღავათით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 4 300 ლარს.

მოგების გადასახადი

(საგადასახადო)

ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №7 ბრძანების შესაბამისად შპს "ჯეო თაირს" 2017 წლიდან მოგების გადასახადის გადამხდელია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შესაბამისად, აღნიშნული მოდელის შესაბამისად მას აქვს ვალდებულება მოგების გადასახადის დეკლარაცია წარადგინოს ყოველთვიურად. 2021 წლის 12 თვეში შპს "ჯეო თაირს" შემოსავლების სამსახურში წარდგენილი აქვს მოგების გადასახადის დეკლარაციები ყოველთვიურად, საზოგადოებას 2021 წლის 12 თვის მონაცემების შესაბამისად ამ მოდელით დასაბეგრი ოპერაციები არ უფიქსირდება.

ქონების გადასახადი

2021 წლის 12 თვეში შპს "ჯეო თაირს" ქონების გადასახადი შეადგენდა 3 071 ლარს.

დირექტორი: B Akkya.

მთ.ბუღალტერი:

აქ

